INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.nfa.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 15 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო

www.nfa.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
63,64%
71,36%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
26,09%
73,75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
33,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
31,03%
19,06%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
33,33%
29,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
34,62%
57,56%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
60,00%
49,33%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
20,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან უფროსს (სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის წარდგინებით. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

სააგენტოს უფროსი

დავით კობერიძე დაიბადა 1981 წელს ქ. თბილისში

განათლება

2003 წელს დაამთავრა გრიგოლ რაბაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

2001 - 2002 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატებში დიუქეინის უნივერსიტეტის (Duquesne University) ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე

2000 - 2001 წლებში გაიარა ამერიკის ბუღალტრული სისტემის ძირითადი პრინციპების კურსი ამშ-ს სიეტლის ცენტრალურ საზოგადოებრივ კოლეჯში

1998 წელს დაამთავრა გრიგოლ რაბაქიძის სახელობის უნივერსიტეტ "Alma Mater"-ის ლიცეუმი

2. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება „მოადგილეები“, თუმცა მასში მოცემულია მხოლოდ სააგენტოს უფროსის მოადგილეების სახელები და გვარები. არ მოიძიება მოადგილეთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. არ მოიძიება იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითებაც, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს (სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი):

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სააგენტოს საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება). ასევე, ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა.

4. განყოფილებაში „კონტაქტი“ არსებულ ქვეგანყოფილებაში „ცენტრალური ოფისი'' განთავსებულ სააგენტოს სისტემის სარეკვიზიტო ცნობარს აკლია სტრუქტურული ერთეულის - მობილური რეაგირების ჯგუფის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. ამასთან, სასურველია მოცემულ ქვე-განყოფილებაში არსებული დეპარტამენტის სახელწოდება: „სურსათი და ცხოველური საკვების ინსპექტირების დეპარტამენტი“ შეცვლილ იქნეს მოქმედი დებულებით განსაზღვრულ სახელწოდებით - „სურსათისა და ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტი''. შესაძლებელია აქვე მოიძიებოდეს სტრუქტურული ერთეულების ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები:

ცენტრალური ოფისი

მისამართი: მარშალ გელოვანის გამზირი 6

ტელეფონი:
+ 995(32) 291 91 67
+ 995(32) 291 91 67 (120) **სააგენტოს ცხელი ხაზი**
+ 995(32) 291 91 67 (108) **ცხელი ხაზი ნებართვების შესახებ**

ფაქსი: + 995(32) 291 91 65.

დეპარტამენტები:

- ადმინისტრაციული დეპარტამენტი - 291 91 67 (141)
- სურსათის დეპარტამენტი - 291 91 67 (121)
- ვეტერინარიის დეპარტამენტი - 291 91 67 (106)
- ფიტოსანიტარიის დეპარტამენტი - 291 91 67 (133)
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი - 291 91 67 (125)
- სურსათი და ცხოველური საკვების ინსპექტირების დეპარტამენტი -291 91 67(122)

განყოფილებაში „კონტაქტი“ არსებულ ქვეგანყოფილებაში „რეგიონალური სამმართველოები“ მოცემულ ტერიტორიული ორგანოების ჩამონათვალს უკლებლივ ყველას აკლია საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, არ არის მოცემული შემდეგი ტერიტორიული ორგანოების მისამართები:

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ სამმართველოში შემავალი ასპინძის ერთეული:

სამცხე – ჯავახეთის რეგიონარული სამმართველო

- **ახალციხე** - მისამართი: კეცხოველის 6
  ტელეფონი: 591 91 48 71
- **ადიგენი** - მისამართი: მესხეთის 19
  ტელეფონი: 595 22 11 06
- **ახალქალაქის** - მისამართი : ძნელაძის 2
  ტელეფონი : 591 91 48 34
- **ბორჯომი** - მისამართი: რობაქიძის 15
  ტელეფონი: 599 15 29 36
- **ნინოწმინდა** - მისამართი: პუშიკინის 16
  ტელეფონი: 599 75 93 88
- **ასპინძა** - ტელეფონი: 591 99 65 12

- სამეგრელი-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო (აკლია როგორც მისამართი, ასევე ტელეფონის ნომერი):

- გურიის რეგიონალური სამმართველო და მასში შემავალი ოზურგეთის ერთეული:



- მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ სამმართველოში შემავალი ყაზბეგისა და დუშეთის ერთეულები:

- კახეთის რეგიონალურ სამმართველოში შემავალი ლაგოდეხის ერთეული:

კახეთის რეგიონარული სამმართველო

- **თელავი** - მისამართი აღმაშენებლის შესახვევი '4
  ტელეფონი 595 22 11 13
- **ახმეტა** - მისამართი რუსთაველის 72
  ტელეფონი 595 22 11 68
- **გურჯაანი** - მისამართი ევდოშვილის 28
  ტელეფონი 595 22 11 60
- **დედოფლის წყარო** - მისამართი ბარათაშილის 19
  ტელეფონი 595 22 11 14
- **ლაგოდეხი** - ტელეფონი 591 99 65 21
- **საგარეჯო** - მისამართი: კახეთის 128
  ტელეფონი: 595 222 11 51
- **სიღნაღი** - მისამართი: ნუკრიანის საკრებულოს შენობა
  ტელეფონი : 591 65 17 29
- **ყვარელი** - მისამართი: კუდიგორის 2
  ტელეფონი 595 22 11 03

- იმერეთის რეგიონალურ სამმართველოში შემავალი ტყიბულის ერთეული:

იმერეთის რეგიონარულისამმართველო

- **ქუთაისი** - მისამართი: ნიკეას მე-3 ჩიხი
  ტელეფონი: 899019201
- **ბაღდადი** - მისამართი: წერეთლის
  ტელეფონი : 895 22 11 72
- **ვანი** - მისამართი: სოლომონ II-ს 55
  ტელეფონი: 899964983
- **ზესტაფონი** - მისამართი: სტაროსელკის 31
  ტელეფონი: 895 33 96 24
- **თერჯოლა**- მისამართი მოთაძის 1
  ტელეფონი: 891 11 34 28
- **სამტრედია** - მისამართი: დაბა კულამი რესპუბილკის 5
  ტელეფონი: 891 91 48 12
- **საჩხერე** - მისამართი: თამარ მეფის 39
  ტელეფონი - 891 91 48 74
- **წყალტუბო** - მისამართი: რუსთაველის 25
  ტელეფონი: 891 91 48 69
- **ჭიათურა** - მისამართი : ნინოშვილის 7
  ტელეფონი: 891 11 34 37
- **ხარაგაული** - მისამართი: სოლონ მეფის 101
  ტელეფონი: 891 11 34 72
- **ხონი** - მისამართი: კაკაბაძის 33
  ტელეფონი 891 11 34 17
- **ტყიბული** - ტელეფონი : 895 22 11 73

5. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ისტორია“. სააგენტოს საქმიანობის ისტორია განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებელისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:

მთავარი | ახალი ამბები | ჩვენ შესახებ | ინფორმაცია | კანონმდებლობა

სააგენტოს შესახებ

სურსათის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა 2011 წლის 3 იანვრიდან. იგი შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ბაზაზე.სააგენტო უზრუნველყოფს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვას, ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას;სურსათის/ცხოველის საკვების, ეპიზოოტიური და ფიტოსანიტარიული რისკის შეფასების საფუძველზე რისკის მართვასა და კომუნიკაციას;ახორციელებს სურსათის სახელმწიფო კონტროლს; არეგისტრირებს პესტიციდებს, აგროქიმიკატებს, ვეტერინარულ პრეპარატებს; აწარმოებს მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციასა და კონტროლს; ევალება წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიის მინიჭება; ორგანიზებას უწევს ცხოველების განსაკუთრებით სამიში სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებებს; ზრუნავს საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვაზე; კოორდინაციას უწევს კერძო ვეტერინარული საქმიანობას; კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს ნებართვებსა და სერტიფიკატებს. საზოგადოებას უზრუნველყოფს დროული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციით საფრთხეებისა და შესაძლო რისკების თაობაზე; რეაგირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე;

მოცემულ გვერდზე განთავსებულ სააგენტოს საქმიანობის ისტორიის შესახებ ინფორმაციას, კერძოდ კი სააგენტოს უფლებამოსილებებს და ფუნქციებს მოქმედი დებულების მიხედვით აკლია შემდეგი ორი ფუნქცია:

- კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს კრიზისული მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.

ამასთან, სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „სააგენტოს უფლებამოსილებები და ფუნქციები“ .

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს სისტემის/სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები.

7. სააგენტოსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სააგენტოს გააჩნია მოქმედი სათათბირო ორგანო - წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის მინიჭებაზე ექსპერტთა საბჭო, შესაბამისად სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სააგენტოს სათათბირო ორგანოების ჩამონათვალი;

- სააგენტოს სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- სააგენტოს სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;

- სააგენტოს სათათბირო ორგანოების სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა არქივი, საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილების „ვაკანსია“ შიგთავსი ძალზედ მწირია, მასში განთავსებული ვაკანსიათა ჩამონათვალი შემოიფარგლება მხოლოდ ორი განცხადებით:



ამასთან, განყოფილებაში „ახალი ამბები“ არსებულ (ქვე-)განყოფილებაში მოთავსებული „პრესრელიზების“ გვერდი იუწყება, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია.



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები; სააგენტოს უფროსის მოადგილეთა (მოვალეობათა შემსრულებლის) გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

11. ვებ-გვერდზე თითქმის არ მოიძიება სააგენტოს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში“.

13. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ არ არის განთავსებული საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულო კოდექსი, საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. არ მოიძიება სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული, კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე პრეზიდენტის და სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს უფროსის მიერ კომპეტენციის ფარგლებში დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულებისა და

ტერიტორიული ორგანოების დებულებები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/__sursatissaagento_infostatistics.pdf)

18. სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციას, ატარებს პესტიციდების რეგისტრაციას , აგრეთვე, გასცემს 2 სახის ნებართვას: ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტზე და ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე. სამწუხაროდ სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება იმ პასუხისმგებელი პირების

საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებთანაც პასუხისმგებლები არიან ხსენებულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება „ვაკანსია“, თუმცა მასში განთავსებული ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ ორი განცხადებით. სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ*

ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sursatissaagento_budget.pdf*);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/sursatissaagento_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
47,06%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკაში მენიუ სრულყოფილად არ ჩანს, მაალითად კანონმდებლობაში, მინისტრის ბრძანებებს აქვს შიდა მენიუ:



რომელიც რუკაში არ არის ასახული:



- **ძიება**

ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში, ძიების ველში ჩაწერისას, ავტომატურად აისახება ინგლისური ფონტი:



ასეთ შემთხვევაში სასურველია, რომ ძიებაში შესაძლებელი იყოს ქართული ფონტით (უნიკოდით) ავტომატურად წერა, ასევე მომხმარებელს საშუალება უნდა ქონდეს აირჩიოს რომელი ფონტით წეროს ქართული უნიკოდით თუ ინგლისურით;

ძიების შედეგებს პროგრამული კოდი ითვლის არასწორად, ა მ შემთხვევაში 4-ის მაგივრად დაიწერა 5 შედეგი:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის სათაურის ფორმატი არეულია, ინფორმაციის სათაური ყოველთვის უნდა იყოს უფრო დიდი ვიდრე ტექსტი:



შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგ
   შინაგანაწესი, განსაზღვრავს სააგენტოს თანამშრომლებთან (შემდგომში თანამშრომ
   სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხებს.
2. წინამდებარე შინაგანაწესი ვრცელდება სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს
   ორგანოებზე.
3. შინაგანაწესი შესასრულებლად სავალდებულოა სააგენტოს ყველა თანამშრომლისა
4. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში თანამშრომლის მიმართ გამოიყენება საქარ
   და ამ შინაგანაწესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
5. სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტი ვალდებულია სააგენტოში მიღებისა
   შინაგანაწესი. ხელმოწერა შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე თან ერთვის თანამშრო
6. შინაგანაწესის გაცნობა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ დროს.

მუხლი 2. სააგენტოში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები

1. სააგენტოში მიღების მსურველმა თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს
   ა) თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ განცხადება;
   ბ) ავტობიოგრაფია - Curriculum Vitae (CV);

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმას აუცილებლად უნდა ქონდეს დამცავი კოდი:



+995(32) 219 91 67 (108) About Permits

Fax:

+995(32) 291 91 65

Name*

Surname*

Telephone*

Email*

Text*

SEND

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე მიმაგრებული დოკუმენტები, რაც სურათზეც ჩანს, არის მხოლოდ და მხოლოდ გადაღებული ფოტო მასალა, გაურკვეველია რატომ არის ფოტო მასალა ბმულებად მოცემული:

მიუხედავად იმისა, რომ თურქული ადამიანის ჯანმრთელობისთვის სამიში არ არის, იგი ცხოველთა მწვ ინფექციური დაავადებაა, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს ცხოველის დაცემას და, ამავე დროს დაკავშირებულია ეკონომიკურ ზარალთან მეცხოველეობის დარგშ.

მიმაგრებული დოკუმენტები :

turkulis vakcinacia/_(1).jpg
turkulis vakcinacia/_(13).jpg
turkulis vakcinacia/_(14).jpg
turkulis vakcinacia/.jpg
turkulis vakcinacia/_(2).jpg
turkulis vakcinacia/_(3).jpg
turkulis vakcinacia/_(4).jpg
turkulis vakcinacia/_(5).jpg
turkulis vakcinacia/_(6).jpg
turkulis vakcinacia/_(9).jpg
turkulis vakcinacia/_(10).jpg
turkulis vakcinacia/_(11).jpg

ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა რაც დაფიქსირდა ვებ-გვერდის მონიტორინგის პროცესში, არის ბრაუზერ ოპერაში ვებ-გვერდის მენიუს არაკორექტული მუშაობა. კონკრეტულად თუ მომხმარებელს სურს მენიუს რომელიმე შიდა პუნქტზე გადასვლა მაუსის გაწევასთან ერთად ქრება ახლად გამოსული შიდა მენიუ. რეალურად ვებ-გვერდზე ბრაუზერ ოპერადან შეუძლებელია შიდა მენიუს კატეგორიების არჩევა, ძირითად კატეგორიაში შესვლის გარეშე;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან გამოიხატება მხოლოდ 2 ღილაკით:

საჭიროა, გავრცელების/გაზიარების ფუნქციების დამატება; ფუნქციები უნდა დაემატოს არა მხოლოდ ვებ-გვერდის ზედა მხარეს, არამედ უნდა დაემატოს ყველა სიახლეს და მნიშნელოვან ინფორმაციას;

- **დამატებითი პარამეტრები**

ბეჭდვის ღილაკზე დაჭერით უნდა ვებ-გვერდი უნდა გადავიდეს ახალ გვერდზე, სადაც იქნება მხოლოდ არჩეული ინფორმაცია მენიუსა და დამატებითი დიზაინის გარეშე, ხოლო სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ბეჭდვა ხდება პირდაპირ დიზაინის ფილტრაციის გარეშე:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი მთლიანობაში საკმაოდ მარტივი, ადვილად ათვისებადი და გამოყენებადი ა, რაც მნიშვნელოვნად გაუდავილებს მომხმარებელს მოცემული ელ.-რესურსის გამოყენებას და მასზე ნავიგაციას. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ვებ -გვერდს აკლია ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიც არის სოციალურ ქსელებთან მჭიდრო ინტეგრაცია, საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია, ამოსაბეჭდი ვერსია და სხვა.